ვახტანგ კოტეტიშვილი.

აზიისაკენ

ქართული ხელოვნება „მკვდარ წერტილს“ ჯერ ვერ გადასცდენია.
ძველი, მტკიცე გზები დავკარგეთ. ახალი საფუძველი ფხვიერია. ღრმათ ჩავიფალით, და გარინდებულებს ოდნავ ღა გვესმის ალექსანდრე ჭავჭავაძის თარის კვნესა.
ქართულ ხელოვნების დაცალიერებულ დარბაზს აღარავინ სდარაჯობს. მხოლოდ „ვიღაც“ ფრაკით შეიჭრა შიგ და კედლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა. ჩვენი სულის უგზოობის დროს, ეს „ვიღაც“ ფრაკით მოგვევლინა და იკისრა გზის გაკვლევა. მზეს ზურგი შეგვაქცევინა.
იმ „ვიღაცას“ ჯერ ალმაცერად შეხედეს, შემდეგ ეჭვიანობა გაოცებამ შესცვალა. გრ. ორბელიანმა, ქართულ ხელოვნების მოხუცმა ადიუტანტმა, სცადა ამ „ვიღაცის“ შებრუნება, მკვახეთაც შეუძახა, მაგრამ „ვიღაცამ“ ფრაკით—აჯობა. შემდეგ შეეჩვევნენ კიდეც. დღეს ის „ვიღაცა“ ფრაკში ყველამ შეიყვარა თითქმის.
და ქართულ ხელოვნებას, რომელსაც ქართულობა აღარაში ეტყობა, ის „ვიღაცა“ უშლის „რაღაც“ პერსპექტივებს. „ობა“—„იზმით“ კარგა ხანია შეიცვალა, და ასე აპირებენ განგრძობას. ყველა ევროპიულობის ციებ-ცხელებამ შეიპყრო. ყველას უნდა ბინოკლის შეფერება. თუმც ეს გაევროპიელება, გარუსებას უფრო ჰგავდა, რაც უარესია.
სენი მძლავრი აღმოჩნდა. იმდენად მძლავრი, რომ გაგების უნარი დაგვიკარგა. მაგალითად: თვალაკრულ ევროპამ, მანიაკურ ექსტაზის დროს აზიელობა რომ ველურობის სინონიმად გამოაცხადა, ის ,,ვიღაცა'' აპლოდისმენტებით შეხვდა. გაევროპიელებამ პსიხოზის ხასიათი მიიღო.
ევროპამ შეგვშალა და ალბად წაგვშლის კიდეც, თუ ასე გაგრძელდა.
აზიაში მყოფნი, ევროპიდან უმზერდით აზიას. მიტომ ჩაგვიქრა შემოქმედება, მკვდარ მიმბაძველობამ კი დაგვასნეულა.
ასე იყო და არის. ასე ველარ გაგრძელდება.
კმარა, გვეყოფა!
დადგა დრო მიმოხედვის და მოფიქრებისა.
,,ვიღაც'' რომ მოვიდა და დაეპატრონა ჩვენს ხელოვნებას, ის ,,ვიღაცა'' უნდა წავიდეს. თან უნდა წაიღოს ის ბინოკლიც, რომელიც ევროპას დიდად გვაჩვენებდა და აზიას პატარად. აზიას ისევ აზიის მთებიდან უნდა გადახედვა, თუნდ იალბუზის და ყაზბეგის გიგანტურ კოშკებიდან. მხოლოდ დიდ სიმაღლიდან გამოჩნდება აღმოსავლეთის რთული და ღირსსაცნობი ცხოვრება, ხან მდუღარე და ფიცხი, ხან. მდორი და ქანცმილეული, ხან მზესავით გულ-ღია და მოცეკვავე, ხან კავკასიონივით პირ-ქუში და ღრუბლიანი.
ევროპის უდიდესი რომანტიკოსები, გეტეს მთავარ-სარდლობით, ფიქრით მაინც აღმოსავლეთისკენ მოემართებოდნენ. ჩვენი პატარა ,,ვიღაც''-ეები კი, გარბოდნენ აქედან თავ-ჩაღუნულნი. მაგრამ ახალი თაობა ისევ აზიის შარა გზას უნდა გაუდგეს.
აქეთ არის შოთას სასახლე, რუმის ლურჯი ბაღი და ჰაფიზის მინარეთი. აქ ისმის ჩვენი ძველი მონასტრების ზარის რეკა, დერვიშების მონოტონიური გალობა და მუეზინების ყივილი მეჩეთის სიმაღლიდან.
აქ არის ქვეყანა მოგვებისა, მისნებისა, ბრამანებისა, მუტრიბებისა.
და განა ცოტა რამის მთქმელნი არიან არაბეთის დახურულ გალერეებით შემოვლებული ჰარამხანები, მარმარილოს შადრევნები და თვით ცხელი უდაბნოებიც კი.
განა სპარსეთ-არაბეთის თავ-დავიწყების სამღვთო როკვა განცდათა სიღრმეს არ ამჟღავნებენ? შექერ-ლების სენსუალიზმი განა მთელ ევროპას არ აოცებს? განგის ნაპირებიდან არ წამოვიდა ის მაგიური ბინდი, რომელშიც იმალებოდა საშინელი, ფანტასტიური მისტიკა? განა აღმოსავლეთში არ შეიქმნა ვნების თავადობა და შთაგონების ცეცხლი?
ან სად იცოდნენ ისეთი ღრმა სევდიანობა, ან ისეთი მწვავე ფიქრი და თავ-დავიწყებითი ჭვრეტა, როგორც აღმოსავლეთში? ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება—ყველა ეს აზიაში ღრმა იყო და თავისებური. უნდა იყვეს კიდეც.
და თუ დღეს ,,ზანტი'' აღმოსავლეთი თვლემას შეუპყრია, შესაძლოება მასში მაინც ტორტმანობს და გამომჟღავნდება კიდეც. უკვე დაიწყო. რაბინდრანათ თაგორი საუკეთესო დამტკიცებაა. საქართველოც აზიაში სთვლემს.
აზიაში დაგვიღამდა და აზიაშივე უნდა ველოდეთ ჩვენი ხელოვნების დილას.
დევიზი: უკან, აზიისაკენ წინ წასასვლელად.
მაგრამ ჩინეთის კედლები კი არა, ქართული დარბაზობა.

ი. გრიშაშვილი.

ერთგვირგვინოსანს

აი: ლამფას დავხურე მოთალხო აბაჟური
და ოსმალურ ყავისფრად ოთახი ჩავაშავე.
და ბოლთას ვცემ. და ვამბობ: რისთვის! რა დავაშავე!
რათ მომიკალ, ნეტავი, გრძნობა ახალვაჟური?!

მე ხომ მართლა მიყვარდი—ვით სადაფსა ნიჟარი,
მე ხომ მონა ვიყავი ემაგ თვალთა ისრისა,—
მაშ ხასხასა ტუჩები ასე ვინ მომისრისა,
ვინ გამხადა მტრედივით ვნება განაგიჟარი?

და თუ სადმე მესმოდა რამ ახალი ამბავი—
განა თავდაპირველად მე შენ არ გიმჟღავნებდი?
განა მე არ ვიყავი შეგხვედე და ავნებდი,
განა შენ არ გაკუთვნე ლექსი დაუსტამბავი?

*

დღეს კი ისე ამჩატდი თვით სიოც გადაგძალავს,
დაივიწყე მგოსანი მგრძნობიერი, მშფოთვარე;
დღეს ქმარი გყავს. და ქმარი თვით ოცნებას გიკრძალავს,
ქმარი ცივი ვით არზა, უგრძნობელი ვით მთვარე.

ვაი—სადღა წავიდე! ვაი—ვინ მეყოლება!
ვილა მოგიხსენიებს მგოსნის მუზად წოდებულს!
ლამის მოვკვდე! ვინ არი, შენს ტანს ვინ ეტოლება,
შენს ტანს, ატამივითა ოდნავ ბუსუს-მოდებულს?!!

დღეს ქმარი გყავს. და ქმარმა შენ მონად გამსახურა,
ვით მუშანბა წარსული გაჰყინა და გაფისა;
შეგირთო და ეგ გულიც ისე მაგრად დახურა,
როგორც ბერ-საჭურისმა კარი ალაყაფისა.

ი. გრიშაშვილი.

ქოროწილი ჩვენუბანში

აანთეთ ჩქარა შუშხუნები და მაშხალები.

გაშალეთ სუფრა. გადმოჰფინეთ ბანზედ ხალები.
უთხარით ლოთებს, რომ აკურთხა მღვდელმა ალავი,
რომ სიძეს მისცეს ფალუსტაკი დაუხალავი,
რომ მზითვის ბიჭებს ჩამოართვეს ტაშტი და სარკე.

ხოლო თუ დღეს აქ რომელიმე გადგება ცალკე,
თუ დღეს არავინ არ გადიქცა ჩემებრ ქოროწილად —
მას აზამბარი მიუსაჯოთ კიდევ ორ წილად,
რომ წითელ ვაშლში არ მალავდეს თეთრ უზალთუნებს.

აი, გამოჰყავთ პატარძალი ლამაზ ხათუნებს.
ის ნეგოსავით უმძრახია, მზესავით ღია,
და თუმც მის ბეჭებს არ ამშვენებს ქალაღაია
და არც სახე აქვს თეთრის ხრილით გადაფქვილული —

მაგრამ ის მგოსანს თვით სიზმარშიც არ ჰყავს ხილული.
ისე კრძალულობს ცის ნინველა, აქ დანაბადი,
თითქოს მის ტუჩებს არ ეგემოს აღჯანაბადი,
თითქოს ღიმილით მზის ჭრილობა არც კი განკურნა.

და ეჯიბი კი სულ ღრიალებს: „სად არის ზურნა!
ღვინო და ზურნა! სხვა დღეს ნეფეს არა-უნდა-რა!“
ბანზედ ხან თარფი. ხან შაბაში. ხან უზუნდარა.
ქვეშ კი მწვადისთვის აშიშინდა ცეცხლის მაყალი.

გათენდა. მისწყდა ჟრიამული, აყალმაყალი.
ქვიშისფერ მელნით აიწინწკლა აისი ნაზი.
დუდუკმა ბანზედ ერთხელ კიდევ დაჰკრა შაჰნაზი
და „მშვიდი ღამე“ კვლავ უსურვეს ნეფეს და ცოლსა.

და როცა ნეფემ მიაშურა თავის საწოლსა —
პატარძალს მხოლოდ ეს აღმოჰხდა: „ახ, აქ რა გვინდა?“
მაგრამ მყის ტუჩი პატარძლისა კოცნით აღვინდა
და გაიფანტა მარგალიტი ბადაშხეული.

საბნის ნაოჭში დაიმალა მათი სხეული.

სანდრო შანშიაშვილი.

მოღალატე ლეილა

მხარზე სურა შემოიდგი და გამოჰყე წყალზე დობილს:
იქ თეთრ ქვასთან მინახულებ სიყვარულით ლახვარ-სობილს.

მზის ჩასვლისას მოკქრიალდი, დარჩი მთვარის ამოსვლამდე;
გულს ლოდინით ნუ გადმილევ, თუ გსურს შარბათს შენთან ვსვამდე!
შემოიდგი მხარზე სურა და გამოჰყე წყალზე დობილს,
თორემ ტანჯვა გადამიტანს სიყვარულით ლახვარ სობილს!

აგერ, სერზე გადმომდგარა და დობილთან მოდის მღერით;
დაპირება აასრულა—შემომცინა გულმა ჟღერით!
შიშველ ფეხზე ფლოსტი ეცვა ანასხამი ფერად მძივზე;
ბროლის ყელი მოეღერა უფრო ტურფა ნათელ სხივზე!
მას დობილი ჩამოჰშორდა... ჩემკენ მოდის, მოდის მღერით;
სურა დადგა—ჩემთან დაჯდა—გული გვიცემს ორთავ ჟღერით!

შეუმჩნევლად უკვე მთვარე ტყის წვერიდან ამოცურდა.
ჩვენ თეთრ ქვასთან კვლავ ვისხედით, განშორება აღარ გვსურდა.
ყვავილებში თავი მივდეთ და განცხრომით ვნეტარებდით;
მე, მიჯნური და ბულბული სამნი ერთ დროს ვატარებდით!
შორს დობილი იძახოდა: უკვე მთვარე ამოცურდა!
ყურადღებას არ ვაქცევდით, განშორება აღარ გვსურდა.

და მიწყნარდა ყველაფერი, მხოლოდ წყარო თვის ხმას ადგა.
ერთი ვინმე ყრმა უცნობი უცბად თავზე წამოგვადგა.
და ხანჯალმა გაიელვა... წამოიჭრა ქალი მნათი;
შეეუძახე: რად ჰკლავ? ვინ ხარ? ვინ მოგგზავნა მუხანათი!
„მან ჩემ ფიცსა უღალატა“ სთქვა და ბუჩქებს მიეფარა.
ქალს სიკვდილი შავს თვალებზე ლურჯის ფრთებით მიეპარა.

და მას შემდეგ, როცა მთვარე იცრიცება ბამბის მკლავად,
იმ თეთრ ქვასთან ვიღაც სტირის ხმა-გაბმით და გულსაკლავად.

ს. აბაშელი.

მოქანცული თვალები

რომ არ გამომეთხოვე და უსიტყვოდ წახველი,
შენი სული ამაყი ისე რამ შეაშინა?
ჩემი გული სკივრია, გრძნობათა შემნახველი,
მაგრამ ჩემმა თვალებმა სევდა გამოაჩინა.

და რაც წინად დავმალე სიტყვები სამაისო
შხამის წვეთად ციმციმებს ახლა ჩემს წამწამებში.
ფიქრი ვარდებს ჩვეული ახლა ეკლით აივსო
და გველი დაბინავდა სულის ცივ აკლდამებში.

წინად თუ ვნეტარობდი, შენთან ყოფნა მშვენოდა,.
ახლა რა ვარ?—საფლავი: შიგ მიწა და გარედ ქვა!..
ვამბობ: მას რომ გულისთქმა ოდნავაც შერჩენოდა,
ისე არ წავიდოდა, რომ „მშვიდობით“ არ ეთქვა.

და იწყებენ ფიქრები შავი ქსელის შენებას,
და მებრძვის მოგონება გამქრალ დღეთა აჩრდილის.
დღით საღამოს მოველი, და ღამით—გათენებას,
და არა მაქვს სურვილი არც ღამის და არც დილის.

შუაღამით ღრუბელზე შუქი დაესვენება,
და თვალები შენიშნავს სხივთა შეტორტმანებას.
იქ ოცნებას ნანატრი სახე მოეჩვენება,
მაგრამ ქარი გადაჰგვის ციდან სათუთ ზმანებას.

დილა მოახლოვდება, ცა ვარსკვლავებს მოილევს,
და ღრუბელი შეამჩნევს ჩრდილში ოქროს შემოსვლას
მოქანცული თვალები ზეცას ზანტად მოივლის
და მოოქრულ ნაპირებს ცრემლის ნამით შეჰმოსავს.

კ. მაყაშვილი.

ფისოს

ციცუნიავ, ხარ რა ნაზი,
რა ფუნჩულა, რა ლამაზი!
ტანმოქნილი, ტანწერწეტა,
მარდი, სწრაფი ვით გავაზი!.
მითხრეს: გული მას აქვს ქვისო,—
მიჰქარავენ, არა, ფისო?
თაგვების ხარ ავი წერა:
გიყვარს ბნელში მათი ჭერა!
გაიძვერას
ერთს ვირთაგვას შენს კლანჭიდან
სურს გასხლტომა.. მაგრამ ვერა!!
კლანჭები გაქვს, სთქვეს, რკინისო,
მართალია, არა, ფისო?!..
მსხვერპლს დაიჭერ.. ვით ბანგაშებ!..
ჰბეგვამ, ჰზელავ, ათამაშებ,
ალავაშებ!..
ანთხევ სისხლსა — გიხარიან
და თეთრ კბილებს აკაშკაშებ!..
ეშინოდეს ქოფაკისო,
სთქვეს და ფრთხილად იყავ ფისო!

ლევ. მეტრეველი.

გაოხრებული სასახლე

რა სასახლე ავაგე, რა სასახლე!
მარმარილოს მთაზედ წამოვსჭიმე იგი ცათა სწორად.
ალმასის მაღალი კედლები ჯადოსნურ ფერებად ელავდნენ სივრცეთა შორის.
ბროლის ნათალი გალავანი მოვავლე ირგვლივ.
მზის პირმშო სხივები მასზედ იმსხვრეოდნენ საზეიმო სალამად.
მის უკანასკნელი სხივები იქ ჭლამუნობდენ გულ-დაწყვეტილ გამომშვიდებათ.
და მათგან ნაქარგი ზღაპრულობა უკვდავების ფერებად იდინებოდა მთელს გარემოში.
დიბა-ატლასით შეკამკე დარბაზნი მისნი.
არ დამიზოგავს ძოწეულობა თვალთ-სატყვევებლად.
უძვირფასეს ხალიჩებს ვეფხვის ტყავები სჭარბობდნენ კარიდან კარზედ ფერხთა საფენად.
რა ამოვსწურე სიმშვენიერე და სიუხვე ძველის ძველ ქვეყნებისა სალამაზოდ და სამდიდ-
რებელად ჩემის სასახლისა, მაშინ კი დამთავრებულათ წარმოვიდგინე იგი.
მაშინ მოვუწოდე პირმზეს ჩემსას, რომ მობრძანებულიყო იმა სასახლეში და ედედოფლა
ჩემზედ სიყვარულიდან სიცოცხლემდის.
მაგრამ რა ვუწყოდი ბედ-კრულმა, თუ მე განწირული ვიქნებოდი იმ ერთად-ერთისაგანაც,
რომლის ეშხითაც შევსცქეროდი ცასა და მიწას.
მან უარჰყო ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი. უკანასკნელ ძალ-ღონითა და სილამაზით დამთავრებული
უარმყო მე თვითონაც და მოსწყდა სამარადისოთ ჩემი გულის მხედველობას.
და დამრჩა ოხრად სასახლე იგი...
მე დავძრწი ეულივით უდაბნოდან უდაბნოში.
სტიქიონების სამსხვერპლოდ გამხდარა ჩემი შიშველი თავი.
ქართა ღმუილი, თოვლი და წვიმა, ჭექა-ქუხილი, ვაი და ვაგლახი არა მშორდება.
მიწისა და ცის შორის აღარსადა მაქვს თავშესაფარი მე, აღარსადა...
იქ კი მარმარილოს მთაზე, ოხრათა სდგას ჩემი სასახლე...
ოხ-რა-თა სდგას... ჩემი სასახლე...

ი. მჭედლიშვილი.

ქალაქი

შუა ქალაქში სქელი კედლების გადებულია ზვიადი ღარი
და ავტომობილ-ვაგონ-ეტლების დადის უწყვეტლივ ზედ ნიაღვარი.
ხმელი მდინარის ხმელ განაპირად მიილტვის ტალღა ნაეშაფოტი
და იმ ტალღაზე ობლად და მწირად მეც მიმოვილტვი, როგორც ნაფოტი.
დიდი ქალაქის რკინის ძარღვებში დადის გიჟური ცეცხლი და გაზი!—
აღარც ბულბულის სტვენა ბარდებში, აღარც ბუნება დინჯი და ნაზი...
და მომაგონდა: წიგნს მივწერ ბარემ სოფლელ მეგობრებს, რო მყვანდნენ წინად,
მივწერ: წამიღო რკინის მდინარემ და გადამადნო ფოლადათ... რკინად...

ნ. ლეონიძე

გაათხოვეს!

მზემ ერთის წამწამით შემოაჭყიტა ფანჯარაში, მაგრამ საჩქაროდ მიიმალა, თითქოს ენანება არ გააღვიძოსო. მზემ შემოიხედა ოთახში და ფარდების სახეები ხელოვნურად ამოაგვირისტა იატაკზე, კედლებზე და საბანზე. მზეს ბოლოს გული მოუვიდა—ასეთი გაუთავებელი ძილიც არ მინახავსო—და გაალმასებულის სახით შემოვარდა.
ლოგინში მწოლარე ყმაწვილმა თვალები ოდნავ გაახილა, გადაბრუნდა მეორე გვერდზე და ისევ ბურუსს მიეცა.
„როცა სდუმს"—ფიქრობდა ნახევრად მძინარე—„გავიწყდება სურათის გონება და თუ ლაპარაკობს აღარ აქცევ ყურადღებას მობაასის მშვენიერებას. მასთან რომ ხარ, ლმობიერი, ტკბილი და ნაზია ყველაფერი, რაც ირგვლივ ახლავს. მახსოვს ასეთი გრძნობა ბავშვობისას გამომიცდია ჩვენს ტევრში, წყაროს ძირში: გრილა; ბალახი რბილია; ჩუმი შრიალი ფოთოლთა მოისმის; რიკრიკებს ქვებზე ღარიდან ჩამოვარდნილი წყალი, ფაქიზდება გრძნობა; მშვიდდება გონება; მაგრამ საკვირველია: ხშირად ისე ვყოფილვარ მოჯადოებული, წყურვილმოკლული, სავსე ღარიდან განუწყვეტელ მარგალიტად მომდინარე წყაროთი, რომ ცივი ანკარა წყალი, გვირგვინი იქაურობისა არ დამილევია. სხვაგან კი ვსვამდი ღვინოს, რომელიც მძაგდა; წყალს, რომლის შედარებაც-კი არ შეიძლებოდა წყაროს ნექტართან."
— შენ რაღა გინდა? ცოტა ნაწყენი შემოუბრუნდა ფიქრებიდან გამორკვეული ყმაწვილი თავზე მდგომს მსახურს.
— წერილი გაახლეთ.
— ვისგან?
— წირიშვილისაგან.
ყმაწვილმა საჩქაროდ დაიწყო კითხვა.
რაო?! კატო კუხიშვილს მიჰყვებაო? სანდროს?! ყველას მიათხოვებს მოძულებულს ქალს დედამამა, მაგრამ სანდროს?! სანდრო ხომ ღვთის ნააზრი არ არის და ადამიანის შექმნილი! ბატმა იფიქრა და ღრმა ტალახში ამოჩუჩქნა ვირის გასაზრდელი არსება—სანდრო, ალექსანდრე!..... მოიხსენე, უფალო, წიაღსა შენსა მხევალი ეკატერინე!" დაცინვით წამოიძახა ყმაწვილმა,
— ბატონო, ბიჭი პასუხს ელის.
— ჰო, კარგი! მომიტანე საწერ-კალამი.
საპასუხო ბარათი მოკლე იყო:
„პატივცემულო ქალბატონო—სწერდა ლოგინში წამომჯდარი—დასაფლავების მომწყობი საზოგადოების წევრი არ გახლავარ. პანაშვიდებზედაც არ დავიარები....."

ნ. ფაშალიშვილი.

თოვლში

თოვლის მაყრების მოსვლა დღეს ქარს არა სჯეროდა
და ვით მთვრალი აშული—მავთულებზე მღეროდა;
ეხლა კი სთვლემს ქალაქი და ჩირაღდნებს, და ქუჩებს
თოვლი თეთრი კონცერტით აბრუებს და აყუჩებს;
თოვლი ისე ჩამოდის, თოვლი ისე ცახცახებს,
თითქოს სატრფო ისროდეს აივნიდან ზამბახებს.
და მიტკლისფერ მორევში იძირება კამარა—
თოვლმა ცა და ქვეყანა თეთრად დაასამარა!

მე მივყვები ნამქერსა—ნამქერივით ეული
და ცა მხრებზე მაწვება—ცა ძირს ჩამოწეული.
გზები სულ მთლად წაშლილა-თეთრად გადაბურდული.—
სად მივდივარ?—ჩემს გულში შიში იძვრის ქურდული.

გუშინ ღამით ცა იყო ვერცხლის წყლით დაბასმული
და ზედ ქარვები ჰქონდა წერტილებად დასმული,
მთვარეს ისე მისდევდა ვარსკვლავთ მილიონები,
ვით გაქცეულ ფარაონს—მეამბოხე მონები,
და იღვროდა ნათელი და ჩემს ფართო ფანჯარას—
აწვებოდა სხივები—ხან რიგრიგად—ხან ჯარად.
და მე ნათლად ვხედავდი გზებს, ცისაკენ წარმავალს:
ცაში ანგელოზები იმართავდნენ კარნავალს—
და იქ ღმერთიც მეზმანა უცნაურის ზმანებით:
მან ზეციდან მესროლა შავი ხელთათმანები!—

შევკრთი, ფარდა დაუშვი და სულ იმას ვფიქრობდი,
თუ გულში ამ განცდის ცეცხლს რომელ ზღვით დავიქრობდი?..
სახლში შიში დამყარდა, კარში ქარი ატირდა—
და გავქვავდი ბურანში როგორც კარიატილდა!

ეხლა კი... სთვლემს ქალაქი და ჩირაღდნებს და ქუჩებს—
თოვლი შაქრის კონცერტში აბრუებს და აყუჩებს;
და როს ქარი ღრუბლების ყდას გადაჰხდის მთვარესა—
მთვარე ოდნავ იელვებს და ჰქრება უარესად;
მთვარე თითქოს მეფეა—პორფირ შემოხეული
და ცდილობს, რომ დაჰფაროს თვის შიშველი სხეული.
ცა კი დაბლა ჩამოდის, ცა რძის ორთქლით ნაბანი,
და იშლება მიწაზე ფარჩის თეთრი საბანი.

და მივდივარ მარტოკა, ვით შეშლილი მაესტრო,
ახ ნეტავი ამ გზაზე ჩემთვის არვის გაესწრო!
და ეს ფიქრი ქარს უსწრობს, როგორც მალი შურდული,
სულში კი თოვლი მოდის და ეჭვი მჩხვლეტს ქურდული!

ნ. შიუკაშვილი.

დედის სურათი

გუშინვე გადავწყვიტე დღეს დილით სკოლის ფერმაში შევეგებებოდი მზის ამოსვლას.

მიყვარს მარტოობა, მიყვარს ბუნება... ეხ, მოდი ფარისევლობას თავი დავანებოთ: ბაბოსთან ვიყავ შეპირებული, თორემ დილის ბალიშს ბუნებაზედ არ გავცვლიდი...

მიმიხვდებოდით,—ბაბო სხვის ცოლია და მე, როგორც მიღებულია, გაგიჟებით უყვარდი! იმასაც ხშირად დაუთმია დილის ძილი (შუალამისაც!) „ბუნების“ გულისათვის...

ფერმაში ერთი მობურული მყუდრო ხეივანი შევაგულეთ და ისე ვგრძნობდით თავს, როგორც საკუთარ სახლში!.. გარდა ამისა, ორთავე ცნობილი ვიყავით წმინდა წყლის „ესთეტებად“ და იჭვიანობას არ დაიწყებდნენ...

ჩვენს თავისუფლებას მხოლოდ ერთი ვარამი სდევდა უკან—ბაბოს ექვსი წლის ტასიკო!.. ახირებული რამ იყო ეს გომბიო!.. რამდენსაც გინდა ცდილიყო ბაბო, იშვიათად თუ დაალწევდა თავს ამ არკაუჯს!.. ერთი ტირილ-ღრიალით დაედევნებოდა უკან და, მეტი რა ჩარა ჰქონდა, რომ თან არ ეტარებინა!.. მოგეცა წყალობა, ბაბო იმას დაუტატანებდა ხოლმე, როდესაც, ვთქვათ, სავაჭროდ მიდიოდა. აბა, რა ბავშვის საქმეა ბაზარში ტანტალი!... მაგრამ... ბაღი, ბუნება, დილის ჰაერი—მოგეხსენებათ, პირველია ბავშვებისათვის!.. მოდი და უბრძანე სახლში დარჩეს!.. რათა? მიზეზი?!.. მართალია, ბაბო ქმარს ძალიან არ უფრთხოდა, მაგრამ ასეთ ჯიუტობას, შესაძლოა ქმარიც კი ჩაეფიქრებინა... კარგად იცით,—თუ იჭვის ჭიამ ერთი გაიღვიძა, მცონარესაც კი აღარ მოასვენებს...

გარდა ამისა, ტასიკო თავისი გამარჯვებითაც იქამდის იყო ხოლმე კმაყოფილი, რომ შემდეგ ადვილად ვიშორებდით თავიდგან: ეს პეპელებსა სდიე, აი ნიჩაბი და ვინძლო კარგი ბაღჩა გააშენო,—რას არ მოიგონებს გაჭირებული ადამიანი!.. მე და ბაბო-კი პირდაპირ გენიოსები ვიყავით ამ მხრივ!.. ერთხელ „ხბოობანაც“-კი ვათამაშეთ: ტასიკო თოკით ხეზედ მივაბით და მარწყვში გავუშვით, ვითომ ხბოა!.. ხე-ხე-ხე...

მხოლოდ ერთი შემთხვევის შემდეგ გაუწყრა ღმერთი და „ხბოობანობითაც“-კი ველარ ვატყუებდით! მე და ბაბო ხეივანს ქვეშ ვისხედით, ტასიკო-კი მოშორებით თავის ბოსტანსა ჰმარგლიდა. უცებ როგორღაც თავს წამოგვადგა, როდესაც ბაბო ჩემს კალთაში იჯდა და მეალერსებოდა... ის იყო და ის!—შეჯდა ეშმაკზედ და თავიდგან ველარ ვიცილებდით: საცა ჩვენ—ისიც იქ! წავალთ—მოგვდევს, დავსხდებით—დაჯდება, წამოვწვებით—ისიც იქვე მუცელზედ წაგორდება და ფეხებს ჰაერში ათამაშებს!.. არამც-თუ მე,—ვგრძნობდი, რომ დედასაც-კი ეზიზღებოდა ეს ღვთისაგან წყეული ანგელოზი!.. აა, ცოტა კიდევ და ვტაცებდი იმ ბოცოცა ფეხებში ხელს და ბაყაყივით ვისროდი ღობის იქით! . . . .

ოთხ საათზედ მე უკვე ფერმაში ვიყავ. ბაბო მხოლოდ ექვს საათზედ უნდა მოსულიყო. მივწექ იქვე გრძელ ფიცარზედ. დილის სიო სასიამოვნოდ მივლიდა ტანში... ჩამძინებოდა... უცებ გამეღვიძა... საათს შევხედე—ექვსი სრულდებოდა. წამოვხტი. შევხედე პირდაპირ ამომავალ მზეს და ღონივრად გავიზმორე... გავიხედე გზისკენ,—ბაბო არსადა ჩანდა. მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ თავით ახლად დაკრეფილი ჯერ ისევ ნამიანი მარწყვი მოეგროვა,—ეს მებაღის ყურადღებას ნიშნავდა... ბუნებით თუმცა დარდიმანდი ვარ, მაგრამ ჩემი ცარიელი ჯიბე ვის აღუძრავდა ასეთს პატივცემას!.. ეხ, ტყუილად-კი არ არის ნათქვამი, რომ ღმერთი თავის შექმნილს არ გასწირავს და, ბუზი რა არის,—იმასაც-კი რითიმე დააჯილდოებს!.. ჩემი საქმეც სწორედ ეგრეა: არც ფული მაქვს, არც დიდი სამსახური, არც ისეთი რამ ჩამომავლობა, მაგრამ... აი, თუნდ ქალები: ისე მეტანებიან, როგორც შემოდგომის ბუზი მელოტ თავს!.. რაღაც გამიგონია შავ თვალებზედ, მაგრამ არა: თვალი ხომ თვალია, მაგრამ გამჩენს კიდევ „რაღაც“ დაუნათლებია ჩემთვის, თორემ ამ ჩვენ დალოცვილ საქართველოში ყველას გამურული თვალები აქვს!..

ეს ხომ წამომცდა და ბარემ სულ ვიტყვი: საცა ლამაზი ქალია, ივლის და წამომადგება თავს: „ჩემი ქმარი ძალიან კარგი კაცია, მაგრამ ჩემი სული (ხე-ხე-ხე!..) ობლობას განიცდის“ პირველ ხანს გავიბერე, რა გავიბერე—თავი ნაპოლეონად მომქონდა!.. ახალგაზრდა ვიყავ და ცხოვრების ნაჩუქარს ანალიზის გუბეში არ ვალბობდი.. მომეწონა ჩემი თავი, ძალიან

მომეწონა,—მეტიც: ღრმა ბუნებრიობის განცდა მოვისურვე: გავეხვიე ჩაილდ-ჰაროლდის წამოსასხამში და, მოგეცათ წყალობა, ცრემლის ნიაღვარი ვადინე „სულით ობოლთ“!..
მხოლოდ ერთმა დაკვირვებამ გადამასხა ცივი წყალი: არცერთი გასათხოვარი ქალი არ მოდიოდა ჩემთან „ობლობის“ საჩივლელად,—სულ გათხოვილები!.. „ბიჭოს!“—გავიფიქრე: „თუ ობლობაა, ამას გასათხოვრები უფრო არ უნდა ჰგრძნობდნენ?!. სად არიან, რატომ არ მოდიან ჩემთან!?“ მაშინ-კი მივხვდი. თუმცა მემძიმებოდა ლამაზი პოზის შეცვლა... ამის შემდეგ გავეხუმრე კიდეც „ობლობის“ ერთს ახალს მსხვერპლს: გულზედ ხელები დავიკრიბე და ტრაგიკულად ვუპასუხე: „მე მზადა ვარ ცხოვრების თანამგზავრად გაგიხადოთ, მხოლოდ საჯაროდ, პირ-ახდილად!“ ხე-ხე-ხე... ჩემი „ობოლი“, ეჭვი არაა, მომზადებული არ იყო ასეთი ახირებული მოულოდნელობისათვის და სულ აირია!.. მშობლებიც მაშინ მოაგონდა, საზოგადოებაც, „დაწყევლილი ბორკილიც...“ რა მექნა?! გაჭიანურებულ ხუმრობას ხომ მარილი აკლდება და... ჩქარა მზის ამოსვლა-ჩასვლის საცქერლად სულ თან დამდევდა...
ცოტა გადავუხვიე... სულ-კი მებაღის ბრალია: ერთი გატლეკილი ბიჭი და—ასეთი ყურადღება!..
ავკრიფე მარწყვი; ცოტა მე შევჭამე, დანარჩენი არკაუჭ ტასიკოს შეუნახე.
ბაღის მეორე მხრისკენ გავწიე...
როდესაც ხეებს მოვეფარე, უკახიდან ფეხის ხმა მომესმა. ფიცხლავ მივტრიალდი და დავინახე ოთხი შეგირდი: მხარზედ თოხები გაედოთ და სამუშაოდ მოსულიყვნენ. ოთხივე იმ ფიცართან შეჯგუფულიყვნენ სადაც მე ვიწექი, ერთმანეთს ხელიდგან რაღაც ოთხკუთხიან თეთრ ნაჭერსა ჰგლეჯდნენ, ტუჩებზედ იდებდნენ და საიდუმლოდ ხითხითებდნენ. მკაფიოდ მომესმა ტუჩების ტყლაშა-ტყლუში: ოთხივე ჯერჯერით ჰკოცნიდნენ იმ თეთრ ნაჭერს...
გულზედ რაღამაც მიკბინა.. გავიკარ უბეს ხელი, ცარიელი დამხვდა... ეჭვი არ იყო: წოლის დროს დედიჩემის ფოტოგრაფიული სურათი წამომვარდნოდა და ეხლა ეს თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გამხეცებული ბავშვები გაშმაგებით ჰკოცნიდნენ მას... დედა ჩემს!..
თავში სისხლი მეცა... მკლავები დამეძარღვა და გავემართე მათკენ... შევდექ... სულს ძლივსღა ვიბრუნებდი... შემეშინდა ჩემი თავისა... საშინელმა მხეცმა გაიღვიძა და საქმე უბრალოდ არ გათავდებოდა, თუ-კი ცოტათი მაინც გამოვ-ყოფინებდი საზარელ კლანჭს...
მთელი ძალ-ღონით მოვღრიცე ხის ტოტი, რომელზედაც ხელი მედო, ღრმად შევისუნთქე და წყნარად გავწიე შეგირდებისკენ... იმათაც დამინახეს და გაშეშებული მიცქეროდნენ... მივუახლოვდი და, რამდენადაც-კი შემეძლო, მშვიდად ვკითხე: „უბიდგან ფოტოგრაფიული სურათი დავკარგე (დედის სახელი ვერ ვახსენე!) და ხომ არ გიპოვნიათ მეთქი?..“ ალბად, ჩემი „დამშვიდებული“ სახიდგან მხეცის თვალები ანათებდნენ და სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ ოთხივე გამშრალი, შეშინებული უნძრეველად იდგნენ და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ... ბოლოს ერთმა უკან მოფარებული ხელი შიშით გამომიწოდა... ჩამოვართვი სურათი და დინჯად გავბრუნდი...
დავხედე დედა ჩემის ნასახს... ვიცან ყოველი ხაზი დედა ჩემის საყვარელი სახისა. მწუხარე თვალები ჩვეულებრივი ალერსით მიყურებდნენ და, ასე გონია, სამდურავს მიძღვნიდნენ—„რად ჩაუგდე ჩემი თავი გარყვნილ ბიჭებსაო!..“ ალერსით გადაუსვი სახეზე ხელი, ვითომ უწმიხდურობა მოვაშორე, და შვილურის გრძნობით დავეკონე. შევახვიე ქაღალდში და ისევ უბეში ჩავიდე.
შეგირდები მოშორებით სთოხნიდნენ და მხიარულად რაღაცაზედ ხითხითებდნენ; ფარულად ჩემკენ იხედებოდნენ და ერთმანეთს თვალს უშვრებოდნენ... ბრაზი ისევ გულს შემომაწვა—შეგინებული გრძნობა შურს თხოულობდა... გავბრუნდი, განაპირა ხეივნისკენ წავედი...
უცებ ფეხის ხმა მომესმა... ბაბო!.. ტასიკოც უკან მოსდევდა. ღიმილით ხელი გამომიწოდა... თავს ძალა დავატანე, მაგრამ ჩემს გაფითრებულ სახეს ღიმილი არ ადგებოდა... ბაბოს შეხება მეზიზღა... ხეივნის უკანა კუნჭულში მიჯდა და კითხვით შესცქეროდა ჩემი სახის არა ჩვეულებრივ გამომეტყველებას.
ტასიკო ხელში ავიყვანე და მარწყვი შევთავაზე; იმას ჯერ უსიამოვნოდ დაეპრანჭა პირისახე და ხელიდგან გაშვება უნდოდა, მაგრამ ჩემმა მეგობრულმა ქცევამ ალბად გული მოუბრუნა და გამიღიმა. ჩამომართვა მარწყვი და ჭამა დაუწყო; დრო-გამოშვებით შემომხე-

დავდა და გაიღიმებდა. ესე კარგა ხანს ვიდექით. ბაბოს წყენისა იმ დროს არ მეფიქრებოდა, მაგრამ ჯერ არ ვიცოდი, როგორ უნდა გავძღოლოდი ამ ახალ გარემოებას.

—ნუ რყვნით, დავით! მომესმა ბაბოს უკმეხი ხმა.

ტასიკო ხელიდგან გამისხლტა. მეც მივბრუნდი და ბაბოს მივუჯექი. ტასიკომაც ჩემს გვერდით მოიკალათა. შევხედე ბაბოს, კეკლუცი ღიმილი აღარსად იყო მხოლოდ სახის დამშვიდებას ცდილობდა. მე ჩუმად ვიჯექ და ჯოხით მიწას ვჩიჩქნიდი. ესე კარგა ხანს გასტანა. ბაბოს მოთმინება ეკარგებოდა.

—წადი ეხლა, ტასიკო, შენს ბოსტანს მიჰხედე! თავ შეკავებით უთხრა დედამ.

ტასიკო არ ინძრეოდა. მეც ისევე ვიჯექ.

—არ გესმის, წადი მეთქი! მკაცრად გაუმეორა ბაბომ.

ტასიკო ზლაზნით და ბურტყუნით გაემართა... მეც წამოვხტი...

—აბა, ტასიკო, წავიდეთ, ვნახოთ!.. ჴხიარულად მივაძახე, ავიტაცე ხელში და წავიყვანე; თან ხმა მაღლა ვეუბედებოდი ამ მთისას—იმ მთისას, რომ უხერხული სიჩუმე ამომევსო რითიმე.

შორი-ახლოს რუ მოჩუხჩუხებდა და იქვე ხის ძირში ტასიკოს ბოსტანი იყო. მხიარულად მიუახლოვდით და ფიცხლავ საქმეს შევუდექით. გავმარგლეთ, მოვრწყეთ, ბილიკები დავტკეპნეთ... ორთავეს ხელები ტალახით დაგვესვარა და მხიარულად ვხარხარებდით. გავიდა ნახევარ საათზედ მეტი. ბაბოც გამოვიდა ხეივნიდგან, დინჯი რხევით მეორე მხრისკენ წავიდა და, ვითომ, უდარდელად რაღაცას ღიღინებდა.

—ტასიკო, წავიდეთ, დროა!.. მთქნარებით დაუძახა დედამ.

—ეხლავ, ეხლავ, დედი... ცოტა კიდევ დაგვრჩა...

ბაბო არ აუხირდა და ისევ ღიღინით ჩაისეირნა.

მე და ტასიკომ ცოტა კიდევ ვჩიჩქნეთ მიწა და შემდეგ მე თითონვე ავაშურე.

—წავიდეთ, ტასიკო, თორემ ჩაიზედ დაგიგვიანდებათ.

ძლივს-ძლიობით დავბანე ხელები გაცელქებულ ტასიკოს, შევუმშრალე და ბაბოსკენ გავწიეთ. ბაბომ დაგვინახა; ქალაქისკენ ქნა პირი და დინჯი ღიღინით გაემართა. მე და ტასიკო უკან მივდევდით და განუწყვეტლივ ვუბედობდით.

მიუახლოვდით მათ სახლს; ტასიკომ მეგობრულად ხელი ჩამომართვა. ბაბოს ზრდილობიანად ქუდი მოვუხადე; იმან ღიღინით დაბლა თავი დამიკრა და შევიდა კარებში...

ჭ. ჭიჭინაძე.

დაღამება

აი თან და თან ჩემს გარშემო დასაღამოვდა.
სული მოითქვა დედა-მიწამ ცეცხლით ნადაღმა,—
მკაცრი მნათობი, მის გადაწვას რომა ლამობდა,
მძიმედ დაღლილი ჩაესვენა მთების გადაღმა.

აღმოსავლეთით გაწოლილი უღელტეხილი
ცას გამოეყო დამტვრეული შავი ხაზებით,
ხოლო დასავლეთს, დასახლებულს მუქ დარბაზებით,
საზღვრად გაევლო ოქროსფერი სირმის გრეხილი.

ნელის შეპარვით იფერფლება კამარა ცისა,
მტრედის გუნდებად იშლებიან ღრუბლის ქულები,
და, ვით მკვდარ მცნების დარჩენილი მოციქულები,
სადღაც შორს კიდევ ცახცახობენ სხივები მზისა...

ღრმა ნაპრალებში ჩაფენილი ბინდი ხშირდება,
თალხი ჰარირით იმოსება მწვანე ტყე-ველი,
და ჩემი სულის მდუმარება დაურღვეველი
უსაზღვროების მკვდარ სიჩუმეს უკავშირდება...

ივ. გომართელი.

გრიშაშვილის „საიათნოვა“

შვეიცარიაში გადამტყორცნა ბედმა. ჟენევის ტბის პირათ ახლათ გაცნობილ შვეიცარიელ ფრანგს ვემუსაიფებოდი ჩემი სამშობლოს შესახებ და ისიც მაცნობდა თავის კოპწია შვეიცარიას.

— საფრანგეთი რომ შემოგესიოს, რას იზამ მეთქი, დავეკითხე.

— იარაღით დავიცავ ჩემს სამშობლოს, იყო მარტივი პასუხი.

— კი მაგრამ ამ შემთხვევაში შენ უნდა გაილაშქრო ფრანგების წინააღმდეგ.

— დიაღ, გავილაშქრებ!

— მერე შენ ხომ ფრანგი ხარ?

— რა ვუყოთ, რომ ფრანგი ვარ! სამაგიეროდ მე ვარ შვეიცარიელი და ჩემი სამშობლო შვეიცარიაა.

— მერე როგორც ფრანგს საფრანგეთი ხომ უნდა გიყვარდეთ.

— საფრანგეთი დიახაც მიყვარს, მაგრამ მე შვეიცარია უფრო მიყვარს, რადგანაც ჩემი სამშობლო ეს არის.

— გული როგორ მოგცემს ნებას, რომ ფრანგების სისხლი დაღვარო?

— ფრანგი რომა ვარ, განსაკუთრებით ფრანგებს არ ვაპატიებ, შვეიცარიას შემოესიონ; რასაც თქვენ ამბობთ, ეგ არასოდეს არ მოხდება, მაგრამ კიდეც რომ მოხდეს, გარწმუნებთ, შვეიცარიის ფრანგები პირველ რიგში ჩავდგებით ჩვენი სამშობლოს დასაცველად, დააბოლავა ჩემმა მოსაუბრემ სიტყვა.

დიდხანს მიფიქრია მას შემდეგ ამ კითხვის შესახებ.

ჩვენი საქართველოც ხომ შვეიცარიას მიემგზავსება. აქაც ხომ ჩვენთან ერთად, ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრობენ სხვებიც: სომხები, თათრები, ოსები.

შვეიცარია მე განგებ გავიხსენე.

იქ სამი ერი სცხოვრობს: ფრანგები, გერმანელები, იტალიელები.

სამივე უწინარეს ყოვლისა სთვლის თავისთავს შვეიცარიის მოქალაქეთ და სამივეს სამშობლო მხოლოდ შვეიცარია არის და არა საფრანგეთი, არა გერმანია, არა იტალია.

ქართველმა ხალხმა სულიერად მიაღწია შვეიცარიის განვითარების სიმაღლეს. მან ძმურად გაუწოდა ხელი ყველას საქართველოში მცხოვრებს და მიმართა: ჩვენ გვაქვს ერთი სამშობლო, გავხდეთ ამ საერთო სამშობლოს ერთგული მოქალაქეებიო. სამწუხაროდ სხვებს არ აღმოაჩნდა გამოცდის დროს ასეთი შეგნება, ასეთი სულიერი სიმაღლე.

ჩვენი ოსებისა და ჩვენი სომხების ნაწილი ჯერ კიდევ ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ მათი სამშობლო საქართველოა და ეს საერთო სამშობლო ქართველ ხალხთან ერთად უნდა დაიცვან ყველა მტრისაგან.

თუ შვეიცარიის ფრანგები, იტალიელები და გერმანელები ამბობენ: ჩვენ შვეიცარიის ხალხი ვართო, ნუთუ საქართველოს მოქალაქეები განურჩევლად ეროვნებისა ვერ შეიგნებენ, რომ ჩვენ ყველა საქართველოს ხალხს წარმოვადგენთ?

შეიგნებენ და ამის თავდებია ჩვენი ახლობელი წარსული.

ჩვენმა წარსულმა შესძლო ტფილისის მოქალაქის წარმოშობა და ეს მოქალაქე იყო ყარაჩოღელი.

ყარაჩოღელი და კინტო ერთი და იგივე ჰგონიათ!!.

ჩვენი წარსულის უცოდინარობით მოსდით.

ყარაჩოღელი უპირველესათ ტფილელი მოქალაქეა. შეიძლება ის ქართველი იყოს, შეიძლება სომეხი—სულ ერთია, ის შვილია საქართველოსი, საქართველო მისი სამშობლოა.

და მას უყვარს ეს სამშობლო, ის არ გასცვლის მას სხვა ქვეყნის სამოთხეზე. არ უღალატებს, არ გაჰყიდის მას.

ამ მხრივ ყარაჩოღელების სულის კვეთების, მათი გრძნობის გამომხატველი მგოსანი საიათნოვა არის, რომელიც მღეროდა: „ჩემი სამშობლო თბილისია, საქართველოს გულიო“; ყარაჩოღელთა დიდი ნაწილი სომხობა იყო, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში ეს ნაწილი შედუღებული იყო ქართველობასთან.

ქართველ და სომეხ ყარაჩოღელს—ორთავეს ერთი სამშობლო ჰქონდათ, ორივენი ერთის ცხოვრებით სცხოვრობდნენ, ორივეს საერთო ჰქონდათ ჭირი და ლხინი.
კეთილდღეობა ჩვენი რესპუბლიკისა მოითხოვს, რომ—როგორც ძველად ყარაჩოღელებს—ისე დღესაც საერთო გვქონდეს—ლხინიც, ჭირიც, სამშობლოც.
„ნუ დააგდებ ძველსა გზასა,
ნურცა ძველსა შეგობარსა".
ძველი, ყარაჩოღლური ძმობა და ერთობა ჩვენს შორის ახალს ხანაში, თავისუფლების ცხოველმყოფელი მზის სხივებზე სიყვარულისა და თანხმობის განუწყვეტელ ჯაჭვათ უნდა გადიქცეს.
ძმობისა და ერთობის სიმები საქართველოს სხვა და სხვა ერთაშორის ჯერ სამწუხაროდ არ არის მტკიცე. მაგრამ საერთო მუშაობით, შეერთებულის ძალ-ღონით უნდა განვამტკიცოთ.
ამიტომ სასარგებლოა იმდროში ჩახედვა, როდესაც ეს სიმები მტკიცედ იყო გაბმული და, მათზედ დამღერებით საიათნოვა ატკბობდა ძველ ტფილისს, ძველ ტფილელს, ძველ ყარაჩოღელს—სომეხსაც, ქართველსაც, თათარსაც.
ეს დრო, მისი მარტივი ცხოვრება, მისი ბავშური გულუბრყვილობა, მისი სადაობა და სილამაზე ეშხიანათ და ბაკმიანათ გადაგვიშალა თვალწინ თვითონ ბაკმიანმა გრიშაშვილმა.
გრიშაშვილის საიათნოვა სწორეთ დროის შესაფერისია.
რა აკლიათ დღეს საქართველოს სომხებს?
საიათნოვა.
ისინი უნდა დაუბრუნდნენ საიათნოვას გზას, მათ უნდა აღიარონ სამუდამოთ და პატიოსნათ ჩვენი სამშობლო ტფილისია—საქართველოს გულიო!
რა უნდა გვახსოვდეს ჩვენ—ქართველებს—განსაკუთრებით დღეს, როდესაც ძმობა-ერთობის ამოძახილს ერთგვარი ჭვარტლი ჰფარავს?
საიათნოვა!
ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სომხის ერმა მოგვცა საიათნოვა, რომელიც ჩვენ შორის ძმობა ერთობის და სიყვარულის ხიდი იყო.
არარატის მთავრობამ ტლანქად ჩალეწა ეს ხიდი.
მაგრამ მოვა ახალი საიათნოვა და ამ ხიდს ისევ გასდებს.
რომაული ანდაზაა: წიგნებს თავისი ბედი უწერიათო.
საიათნოვასაც თავისი ბედი ეწერა.
ჩვენ გაგვეგონა საიათნოვა, ვიცოდით, რომ ის ერეკლეს დროს რაღაცას სწერდა, უკრავდა, თუ მღეროდა, მაგრამ მას არ ვიცნობდით.
გრიშაშვილის ნიჭი და მადლიანი კალამი იყო საჭირო, რომ საიათნოვა მკვდრეთით ამდგარიყო ჩვენი საზოგადოებისათვის.
ესეც საიათნოვას ბედი, რომ ის ხელში ჩაუვარდა მზის სხივებში მოტივტივე სიტყვათა ჭარამხანის ბრძანებელს.
საიათნოვა გაუგებარია, თუ ძველი ტფილისი არ გაიგეთ. ძველი ტფილისი გაუგებარია, თუ ძველი ყარაჩოღელი არ გაიცანით.
გრიშაშვილიც გვიხატავს ყველა ამათ საუცხოვო სურათს:
„ძველს პოეტებში მეც მყავს ჩემი გულის მურაზი!".
ერთი მათგანი უეჭველათ საიათნოვაა.
გრიშაშვილს აქვს საერთო როგორც საიათნოვასთან, ისე ყარაჩოღელთან.
გრიშაშვილის ნიჭში არის ბევრი რამ ყარაჩოღლური: ყველგან და ყოველისფერში საკუთარი მეობა, სულისა და გულის იშვიათი სიმდიდრე, გონება-მახვილობა, თავისებური ფხიანობა, საკუთარი გზის საკუთარი შრომით გაკაფვა და სხვა... აბა რამდენი ერთი უნდა ჩამოვთვალო!
საიათნოვასთან კი გრიშაშვილს აერთებს მოტივები, ჰანგები, რითმი, სიყვარულის ენა, სამიჯნურო გალობა, მგოსნობა.
საიათნოვა პოეტიც იყო, მგოსანიც—ესე იგი მომღერალი.
გრიშაშვილიც პოეტი და მგოსანია.—
მართალია, ის არ მღერის, მაგრამ სამაგიეროთ მისი ლექსის სიტყვები სულ მღერიან და ცეკვავენ.

ბუნებრივი პოეტიც ამითი განირჩევა—ნაცოდვილარისაგან: მისი ლექსის კითხვამ უსათუოდ უნდა აგამღეროს და სხეული აგითამაშოს.
საიათნოვას სიყვარული მსხვერპლიანი, ზვარაკიანი სიყვარულია.
ამგვარივეა გრიშაშვილის სიყვარულიც.
უმთავრესი მოტივი საიათნოვას პოეზიისა სიყვარულია.
გრიშაშვილის ცელქი, ცქრიალა, მოსხლეტილი, ხან მხიარული, ხან სევდიანი, მაგრამ მუდამ მოცეკვავე და მომღერალი სიტყვაც ხომ უფრო სიყვარულს ევლება გარშემო.
საიათნოვა რაც იყო, თავისით იყო,—თავისი ნიჭით, თავისი ენერგიით გაიკაფა მან გზა და გახდა სასახლის დიდი მგოსანი.
ამ მხრივ გრიშაშვილი საიათნოვას გამეორებაა. ამანაც დიდი და თავისებური ნიჭით გაიკაფა გზა და შეიჭრა ძრიელ და მეტათ ლამაზ ნაკადულათ ჩვენს პოეზიაში.
ამიტომ უყვარს გრიშაშვილს საიათნოვა და მასთან ერთათ ძველი ტფილისი და ყარაჩოღელები.
უსიყვარულოდ არ შეიძლება ისეთი სურათების დახატვა, როგორსაც გვაძლევს გრიშაშვილი თავის „საიათნოვაში“.
ძველი ტფილისი, მისი ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულება, მისი დროსგატარება, საქმიანობა ცოცხლდებიან.
და როდესაც საიათნოვას ჰკითხულობთ, გგონიათ, რომ ყოველივე ამას ჰხედავთ ცოცხლათ ნამდვილათ, საკუთარის თვალით.
ამ ძველ ცხოვრებაში სადაობასა და სიმარტივესთან ერთათ დიდი სილამაზეც არის და ეს სილამაზე თავის გამომხატველს ჰპოებს საიათნოვაში.
დიდი პოეტი ის არის, ვინც თავის დროს საუკეთესოთ გამოჰხატავს.
საიათნოვას პოეზია ღარიბია მოტივებით, როგორც მაშინდელი ცხოვრება, მაგრამ ის მდიდარია ფერადებით; ის მარტივია, მაგრამ მეტათ ლამაზი.
საიათნოვა სარკეა თავისი დროისა და ამიტომ ის დიდი პოეტია.
მაგრამ ზაცილებით უფრო დიდი პოეტია გრიშაშვილი, რომელმაც საიათნოვა და მისი გარემო ასე საუცხოოთ წარმოგვიდგინა.

მარიჯან

ყავახანაში

დღეს ავად ვარ, მაგრამ თვალწინ არ მშორდება თეთრი კაფე,
სადაც ბევრჯელ მუქ ფიქრებში ლექსის სახე გამოვკაფე;
იქ დამსხვრეულ, მწველ აკორდზე ჩემი გული უხმოდ კვნესდა,
იქ ექსტაზით ვიყავ მთვრალი... მაგონდება ყველა ეს და
კვლავ განვიცდი წარსულ წამებს, კვლავ წარსულმა დამახანა
და ხსოვნაში, ვით ეკრანზე, იხატება ყავახანა.—
მაგიდები. ელექტრონი. ყავა. ბროლი. მინანქარი.
ცუგრუმელა ფარეშებზე თეთრი ფიფქის წინსაფარი.
ძველ ნაცნობთა პროფილებში ვამჩნევ უცნობ სილუეტებს,
ზოგი უხვად სიცილს აფრქვევს, ზოგიც ღიმილს ვერ იმეტებს,
და ციგარის სურნელოვან, ნაზ-მოლურჯო ბოლის გველი,
იკლაკნება მათ გარშემო, ვით ზღვის ნისლი, ვით ღრუბელი.
აი, ვხედავ შენს ქარც სახეს, მკრთალს, ფერმიხდილს, დაღალულსა,
ჭკვიან შუბლსა, ბევრის ფიქრით დახაზულს და დაღარულსა,
და, გიცქერი დაჟინებით, და გიცქერი ხარბად, ვნებით,
თვალს სწყურია, აღიბეჭდოს შენი სახე ზედმიწევნით,—
მაგრამ... შენ კი როს შემნიშნე, მომესალმე ისე ცივად,
რომ ეხლაც კი მოგონება გულს მეჭრება ყინვის სხივად...
და ვიწამე: რომ ამ ქვეყნად ყველა არი წარმავალი,
და შენც, კარგო, ჩემს წინაშე მოგიხდია შენი ვალი.

ახალი წიგნები

✻ **„ეროვნული ენერგია“ გ. ქიქოძისა**, წიგნი შეიცავს 253 გვერდს. კოპწია ფორმატისაა: მოთავსებულია ოცდა ხუთი წერილი. ახალ მწერლებში, რომელნიც პროზად სწერენ თავიანთ ნათხრობს, სტილის მხრივ გერონტი ქიქოძეს მეორე ადგილი უკავია. გერონტი ქიქოძეს აქვს საკუთარი თქმა და იცის აზრის მოქნილათ მოკვეთა. ამ წიგნში პირადათ ჩვენ მოგვწონს „მელანქოლიური შენიშვნები“. და „საზავო კონფერენციისათვის“, არის წყალწყალა წერილებიც, რომელიც „საქართველოს“ ყოფილ ფელეტონებს გვაგონებს, საერთოდ ავტორისაგან ახალი საქართველო უფრო მეტს მოელოდა.

✻ **„დაისები“ ვალ. გაფრინდაშვილისა.** „აისი“ განთიადის წინამორბედია, რიჟრაჟის დასაწყისი, „დაისი“-კი — დიმიტრი ყიფიანის ლექსიკონით — მწუხრი, საღამო, მზის ჩასვლა, დაისით ლოცვა—ღამის ლოცვა: Всенощная“. „ცისფერყანწებში“ იაშვილი და გაფრინდაშვილი საინტერესონი არიან. თუ პირველს მუნასიბური ნიჭი აქვს — და სანთიან მგოსნად ითვლება, მეორე — მძიმეა ლოდივით და ყოველ მის პწკარში ბრინჯაოს სიმტკიცე სჩანს. მე მგონია, რომ პოეტი ამას განზრახ სჩადის. ამ პოეტს ორი ნაკლი აქვს (მე მხოლოდ ნაკლს აღვნიშნავ, ისე კი უდავოა რომ იგი პოეტია და ნიჭიერი პოეტიც!), პირველი ის არის, რომ პოეტი რითმის გულისთვის აუარებელ უცხო სიტყვებით ტვირთავს ლექსს. და სულ ერთია მისთვის ეს სიტყვები დასავლეთის იქნება თუ აღმოსავლეთის. მაგ., სპეკტაკლები-ნაკლები, ჰანიბალი-იღბალი, მელიზანთა-მიზანთა, ბეჰემოტი-გემოთი, კუკლები—უკლები და მრავალი სხვა. საგულისხმოა, რომ ამ უცხო სიტყვებს ტექსტში ვერ შეხვდები და რითმების ადრევე ჩამოწერა კი ცხად ჰყოფს პოეტის ნაკლს. მგონია, რომ ამასაც განზრახ სჩადის პოეტი. მეორე ნაკლი ის არის, რომ, ერთი და ივივე რითმა—ამ ერთ ციკლნა წიგნში—რამდენჯერმე არის განმეორებული: უამარი-თამარი (გვ. 8), უამარი-თამარი (გვ. 11), მერანებს-გაავერანებს (გვ. 14), მერანი-ვერანი (გვ. 68), მესტები-დაინესტები (გვ. 22), მესტები-დაინესტები (გვ. 37), მაინც-რაინდს (გვ. 24), რაინდს-მაინც (გვ. 38), მინაში-წინაშე (გვ. 29), მინაში-წინაშე (გვ. 68), ჰაერი-სხვანაირი (გვ. 42, 53, 66) და მრავალი სხვ. საინტერესოა ერთი რამ: 1914 წელს გრიგოლ რობაქიძემ „სახალხოში“ წერილი დასტაბა, სადაც ს. აბაშელის წიგნს სწორედ ამ მეთოდით არჩევდა და რითმის განმეორებისთვის არასაკადრის სიტყვებით გაუმასპინძლდა წიგნის ავტორს. მე „არასაკადრის“ სიტყვებისან ღმერთმა დამიფაროს და არცა მსურს, რომ ჩულში გავხვიო პატივცემული ავტორი, მხოლოდ თუ მაინც-და-მაიც აღვნიშნე (ჯერჯერობით) მხოლოდ ეს ორი ნაკლი, ესაც მომივიდა პოეზიის სიყვარულით და ავტორისადმი უაღრესი პატივისცემით.

✻ **გ. ტაბიძის მეორე ტომი.** ტაბიძე სხვანაირია. იგი ყველა ჩვენ პოეტებზე უფრო ფანტასტიური ადამიანია. მისი მეორე ტომი დიდათ განირჩევა მის პირველ ტომისაგან. და როგორც მის პირველ ტომში ისე აქაც მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი და ავტორის დამახასიათებელი. საკვირველია, რომ დასავლეთ საქართველოს პოეტებს ქართული ენა ვერ ეხერხებათ. გაფრინდაშვილს თავის „დაისები“ სავსე აქვს პროვინციალურ გამოთქმებით.— მაგ., ჩაჟენილი, ლურჯი, ქალურებ, დაღალდი, გარება და სხვ. გალაქტიონ ტაბიძემ კი უკვე მოიხსნა თექა პროვინციალური (წინათ ჰქონდა: ცვენა) და როგორც ყოფილი სემენარიელი და ნიჭიერი პოეტი უფრო მეტის სიყვარულით ეკიდება ქართულ ენას. გალაქტიონს თავის ღირება-ნაკლულოვანებით—ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით, მხოლოდ სამწუხაროა ის არის, რომ ჩვენი ნაფიცი კრიტიკოსები ამ წიგნზე სდუმან, მათ უფრო ეინტერესებათ სიმბოლისტების დაბალი შკოლა (კრონოსის სარკე, სმარაგდი, აისი, თოლაბურ. სარტყელი და სხვ.) ვიდრე ნიჭი, ხალასი, უმეშვეო და თავისებური. მე ვამზადებ ვრცელ გამოკვლევას: ამ საათაურით „ასონანსები ძველ მწერლებში“ ხოლო ახლებში კი უნდა ითქვას, რომ არც ერთს პოეტს არ ეხერხება ასონანსები ისე, როგორც გალაქტიონს. ჩამოთვლა ნუ გვინდა. აჰფურცლეთ წიგნები და ირწმუნეთ! პირადათ მე მომწონს მისი: „ლურჯა ცხენი“, „მერი“ და „პირიმზე“, ამ უკანასკნელში თინათინობს საქართველოს ყოფილი სევდა.

✻ **„ცხოვრების ყვავილები“ ვარლამ რუხაძისა.** ი. ევდოშვილმა მთელი სკოლა შეჰქმნა. თუმცა ზოგი ერთი მისი შეგირდი ვერ გასცილებია მამათა ცოდვებს. ამ მხრივ რუხაძის „ცხოვრების ყვავილები“ სუნმიღებულია და წასული ხანის დამახასიათებელი.

✻ **„კავრთოთავა“ გ. საგანელისა.** ეს სიტყვა საბას ლექსიკონიდან არის ამოღებული რაიც ნიშნავს „გულის თქმის ხსენებას.“ ველით მის მეორე წიგნს.

✻ **„შვიდი მნათობი“** ორი ნომერი გამოვიდა. პირველ ნომერში აღსანიშნავია ი. გრიშაშვილის „ლოტოსი“ და პ. კაკაბაძის პიესა. მეორე ნომერში კი გრ. რობაქიძის თარგმანი „სალომე“ იმით არის აღსანიშნავი, რომ უთვალავი ნაცვალ-სახელებია, რაც სრულიად არ ეგუება ქართულ ენას. ან აბა რა ქართულია: „ვეცხლი“, „კვტარები“, „შეპუდრულნია“ და სხვა... უნდა ითქვას კიდევ: „სალომე“ პ. დადვაძესაც აქვს თარგმანი, რომელიც 1910 წ. „დროებაში“ იბეჭდებოდა და აგრეთვე ალ. სარაჯიშვილს, რომელიც ხელ-ნაწერებად მომისმენია.

✻ **„შვიდნი ძმანი ხევსურნი“ ი. მჭედლიშვილისა.** ლირიკული პოემაა. დაწერილია 1915 წ. როგორც ყოველი მისი ლექსი, ხალხურ ყაიდაზეა დაწერილი და შიგ მრავალი თავისებურობა აქვს ავტორს. კარგია რითმა: ტაძარი—წასაბაძარი. გამოცემა ეკუთვნის ი. იმედაშვილს.

✻ **„პრომეთე“ დუტუ მეგრელისა** გამოცემულია კარგათ. ამ ავტორს ძველ მწერლებში საპატიო ადგილი უჭირავს—თავისი მამულიშვილური გრძნობით და გულწრფელი განცდით. პოემა „პრომეთეც“ ასეთი სტილით არის დაწერილი.

✻ **„გაწყვეტილი ზღაპრები“ დ. თურდოსპირელისა.** წიგნში მოთავსებულია 31 ნოველა. გამოცემულია ფაქიზად. ამბობენ: პოეტები ბევრი გვყავს და ბელეტრისტები კი ნაკლებია. საჭიროა მოძებნა და მათი ცალკე წიგნად გამოცემა, რომ მომავალ თაობას ერთგვარი წარმოდგენა ჰქონდეს თანამედროვე ქართულ შემოქმედებაზედაც. დ. თუდოროსპირელი დიდიხნის მწერალია. პირველად ლექსებით დაიწყო. მისი პირველი ლექსები „ნიშადურში“ იბეჭდებოდა. შემდეგ კი პროზაში ჰპოვა თავისი თავი და დღეს მის „გაწყვეტილ ზღაპრებში“ ვკითხულობთ „მოლოზანს და მზე-ჭაბუკს“, რომელიც საუცხოვო შთაბეჭდილობას სტოვებს.

✻ **მიხ. ბოჭორიშვილის ეტიუდები.** მიხ. ბოჭორიშვილი ახალგაზდა ნიჭიერი ბელეტრისტია. იგი არ არის პოპულიარული. შეიძლება ეს იყოს მისი ღირსება. ხსენებულ წიგნში მოთავსებულია 10 მოთხრობა, წიგნი გამოცემულია ქუთაისში და შეიცავს 72 გვერდს. ქაღალდი კარგი ზომისაა. მხოლოდ ეს კია რომ წიგნს რამდენიმე ნაკლიც აქვს გარეგნეულად: შრიფტი ვერ არის კარგი; ნაცვეთია და ზოგიერთი ნაწარმოები აზეპილი გამოსულა. არც სარჩევი აქვს დართული. წიგნი პირველი კრებულია.

✻ **„ჩიტ-ბელურა“ ხალხური ზღაპარი ლექსად სტეფანე ძიმისტარაშვილისა.** ტფილისში დაარსდა წიგნის გამომცემლობა „ნორჩი საქართველო“, რომელსაც მიზნად დაუსახავს საყმაწვილო წიგნების გამოცემა. სტეფანე ძიმისტარაშვილი გვარია აწ უკვე განსვენებული სახალხო მწერლის „კორტოხასი“, წიგნში არის ნაკლი ცეზურის და ენის მხრივ. მაბავშვის გონებისა და მეხსიერებისთვის კი კარგად გათლილ ლექსს დიდი მნიშვნელობა აქვს.

✻ **„ყვავი, ბუ და მელაკუდა“** საყმაწვილო ზღაპარია. გამოცემულია ქუთაისში დავ. დონდუას და ს. ჯაფარიძის მიერ. ასეთი ზღაპრები, რა თქმა უნდა, კარგია ბავშვებისათვის, მაგრამ ვარწმუნებ მის რეცენზენტებს [რომელთა აზრიც წიგნის გარე-კანზეა მოთავსებული) რომ ხსენებულ ზღაპრებს ენა არ უვარგა. საზოგადოთ საბავშვო წიგნებს ერთგვარი კონტროლი უნდა დაენიშნოს, რომ არ „წახდეს“ ენა ქართული. ბავშვის ტვინი დაუწერელი ქაღალდია და „რაც კი ერთხელ სულს დაეჩნდების, საშვილიშვილოდ გადაიცემის“. აბა რა ქართულია: „თვარა“, „აწი“, „გაიკვრიაკა“, „კედრით“, „გაცუცურაგებული“, „ძურწა“ და სხ..

✻ **გ. ხეჩოაშვილი** მშრომელ ხალხში, გარე-უბნებში ცნობილი მწერალია. მისი „დურგლიანთ ქორწილი“ „დიდმოურავიანი“ და „სიმონას თავგადასავალი“ დღესაც ახსოვს ყველას. წელს გამოვიდა მისი ახალი წიგნები: „ციცინათელა“, „რუიზანი“, „ოცი ძმა“. „დუქანში“, და სხვა.

✻ **სოფ. გლახაშვილის თხზულებანი.** წიგნი კარგ ქაღალდზეა გამოცემული. დიდი ფორმატისაა, შეიცავს 313 გვერდს და ღირს 45 მან. წიგნში მოთავსებულია იგავები, ლექსები და პიესები. ავტორმა იცის ცხოვრების დაკვირვება. წიგნის ენა ხალხურია და ყოველ სტრიქონი სადაა და მარტივი. მის პიესებში საინტერესოა „ზორვად“ და „წყურვილი“, ეს უკანასკნელი სიმბოლიურ ყაიდაზეა დაწერილი და 1910 წელს მთელი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე დაიდგა ჩვენს სცენაზე.

✻ **„წამების ჯვარზე“ ობოლი მუშისა.** გძელი პოემაა—აკაკის სტილით დაწერილი. ობოლი მუშა ცნობილია მუშათა მგრსნებში. საჭიროა თავისებურობის ძიება და რითმის გრძნობათა შეგნება.

✻ **„ჩვენი ცხოვრების სურათები“ ძუკუ ლოლუასი.** წიგნში მოთხრობილია სადათ ჩვენი ინტელეგენციის რაობა. ძუკუ ლოლუა ცნობილია როგორც მოსიყვარულე ლოტობარი დასავლეთ საქართველოს სიმღერებისა, ხოლო პროზაში კი პირველათ გვევლინება და უნდა ითქვას, რომ მის წიგნში მრავალი გულწრფელი და საღი იუმორია.

✻ **თაგუნა.** თაგუნა ნიჭიერი იუმორისტია, პირველ წიგნში მოთავსებულია, რაც აქამდე გაბნელი იყო „ეშმაკის მათრახში.“ მისი ზოგიერთი ნაშრომი დაწერილია ავერჩენკოს სტილით. კარგია მისი „საბიბლიოგრაფიო ცნობები“, „ქართული თეატრი“ და „ვ.სო აბაშიძის საათი“.

✻ **„ღია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს“ ეშმაკისა.** კარგი იმიტაციაა შოთასი. არის სუსტი ადგილებიც, მაგრამ შოთასაც ხომ აქვს ყალბი ადგილები. მე მგონია, რომ ბუნებით ნიჭიერმა ეშმაკმა ეს განზრახ ჩაიდინა, რომ შოთასადმი იმიტაცია საესებითი საესედ გამოსულიყო.